სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

17.08.2016 № 150
თბილისი
დოქტორანტურაში მიღების
გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, სტუ-ის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 ივლისის № 2106 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე.
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსს დ.ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში 2016 წლის 15 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე შაბათ-კვირის გარდა (იხ.დანართი).
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის კანცელარიას;
5. გამოცდა უცხოურ ენაში ჩატარდეს 30 სექტემბერს 10^{00} საათიდან სტუ-ის საგამოცდო ცენტრში,(სტუ-ის I კორპუსი, კოსტავას ქ. 68). საპრეტენზიო განცხადებების მიღება იწარმოებს 30 სექტემბრის 14^{00} საათიდან 2 ოქტომბრის 16^{00} საათამდე, მათი განხილვა 3 ოქტომბერს 12^{00} საათიდან. გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 3 ოქტომბერის;
6. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდეს 2016 წლის 4 ოქტომბერს 11^{00} საათიდან;
7. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2016 წლის 4 ოქტომბრიდან 6 ოქტომბრის 16^{00} საათამდე, მათი განხილვა – 7 ოქტომბერს 11^{00} საათიდან;
8. საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ა. წ. 7 ოქტომბერს;
9. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2016 წლის 10 ოქტომბრამდე;
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს.
11. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:
ვიცე რექტორი ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი

1. სამშენებლო ფაკულტეტი
   სტუ-ის I კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 430 ა. მ.კოსტავას 68;
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 17 98 23;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი
   სტუ-ის VIII კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 410. მ.კოსტავას 77;
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 51 72; 593 79 00 84;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი
   სტუ-ის III კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 306. მ.კოსტავას 77;
   საკონტაქტო ტელეფონი - 238 00 50;

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
   სტუ-ის II კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 202. მ.კოსტავას 69;
   საკონტაქტო ტელეფონი - 551 31 64 68;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
   სტუ-ის I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 550 ა, მ.კოსტავას 68;
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 40 35; 595 95 33 00;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
   სტუ-ის I კორპუსი, c ფლიგელი, მე-4 სართ., ფაკულტეტის დეკანატი. მ.კოსტავას 68;
   საკონტაქტო ტელეფონი - 577 762843; 570701765

7. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი -
   სტუ-ის VI კორპუსი, მე-9 სართული, ოთახი 903 ბ; მ.კოსტავას 77;
   საკონტაქტო ტელეფონი - 577 527 729;

8. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
   სტუ-ის VI კორპუსი, მე-9 სართული, ოთახი 916 ა; მ.კოსტავას 77;
   საკონტაქტო ტელეფონი - 577 375 439;

9. ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი
   სტუ-ის VI კორპუსი, მე-9 სართული , ოთახი 911ა; მ.კოსტავას 77;
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 5213;

10. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
    სტუ-ის VI კორპუსი, მე-3 სართული , ოთახი 303 ა, მ.კოსტავას 77
    საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19;

11. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
    გურამიშვილის გამზ.№17, მე-2 სართული, ოთახი №209;
    საკონტაქტო ტელეფონი 593 190 772;